საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია

GEORGIAN PHYSICIANS POSTGRADUATE ASSOCIATION

VII პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია

კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

(ასოციაციის პრეზიდენტი: პროფ. დავით თელია)

14-22 თებერვალი, ბაკურიანი

ძვირფასო კოლეგა,

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ **2015 წლის 14-დან 22 თებერვლამდე** საქართველოს ექიმთა პოსტ-დიპლომური განათლების ასოციაცია დაბა ბაკურიანში, მაღალი კლასის ახალ სასტუმრო **"სნოუ-პლაზაში"** ატარებს VII პოლიპროფილურ სამედიცინო კონფერენციას:

კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

კონფერენცია აკრედიტებულია თსსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიერ (12.12.2014; სხდომის ოქმი N4), გაერთიანებული კონ-ფერენციის ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს მიენიჭება 35 კრედიტ-ქულა და გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

კონფერენციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებსა და სუბსპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების დამკვიდრების ხელშეწყო-ბა და სპეციალისტთა შორის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის თემატიკა მოიცავს დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორებში (ICD10; ICPC2) შემავალ სიმპტომებს, სინდრომებს და ნოზოლოგიებს, ასევე, ლაბორატორიული მედიცინის, კლინიკური ფარმაკოლო-გიისა და ფარმაციის იმ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია პრაქტიკული მედიცინისთვის.

ფორუმზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო და კოსმეტოლოგიური ცენტრების, ფარმაცევტული კომპანიების პროდუქცია, ინოვაციები და პროგრამები.

გარდა ამისა, კონფერენციაზე დამსწრეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მრა-ვალფეროვან კულტურულ პროგრამებში (მუსიკალური საღამოები, სპორტული ღონისძიებები); მოისმინონ ხელოვნების, პოლიტოლოგიისა და ისტორიის სფეროში მოღვაწე ქართველი სპეციალი-სტების საინტერესო ლექციები.

საორგანიზაციო კომიტეტი გიწვევთ ამ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მომხსენებლის, თანა-მომხსენებლის, მსმენელის და/ან სპონსორის სტატუსით.

მონაწილეები განთავსდებიან მაღალი კლასის სასტუმრო **"სნოუ-პლაზაში"** და მასთან მიმდებარე სხვა სასტუმროებში **ექსკლუზიური ფასდაკლებით**.

ვინაიდან მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, გთხოვთ, დროულად შეგვატყობინოთ კონფერ-ენციაში მონაწილეობის შესახებ შემდეგ ტელეფონებზე:
555 70 20 20 (ციცინო გაგნიძე); 555 20 60 60 (სოსო დონღუზაშვილი);
577 44 55 78 (ნანა გვეტაძე); 599 22 22 03 (ნანა თვალავაძე);
551 57 45 22 (ბორის კორსანტია - მოხსენებებთან და სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული საკითხები)

გისურვებთ წარმატებას და ველით თქვენთან შეხვედრას!